ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საერთაშორისო აკადემია ლოგოსი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] **დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [x] **საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [x] **საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;**
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ლელა ფიცხელაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მისიაა

აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული ადამიანები, რომლებიც მომზადებულები იქნებიან, როგორც საქართველოსა და მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისათვის, ისე შემდგომი წარმატებული ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისათვის.

ხელი შეუწყოს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას და პედაგოგიური პრაქტიკის შემდგომ დახვეწასა და გამდიდრებას.

აღზარდოს თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, პრობლემათა გადაჭრის, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი, გონიერი ადამიანები, რომელთაც გაცნობიერებული ექნებათ ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებები და ფასეულობები და რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლის მისია ასახავს სკოლის დანიშნულებას, ორიენტირებულია განვითარებაზე და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს. სასკოლო სასწავლო გეგმა არის ერთიანი დოკუნემტი და შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. სკოლის მისია;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;
3. სასწავლო კალენდარი;
4. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
5. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები;
6. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
7. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

8. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
9. სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
10. სასკოლო საათობრივი ბადე.

სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია საერთაშორისო აკადემია ლოგოსის პედაგოგიურ საბჭოს სხომაზე და დამტკიცებულია სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მისიაში ჩადებული მიზნების მიღწევაზე, რის საფუძველზეც საათობრივ ბადეში დამატებულია საათები. კერძოდ, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში გაღრმავებულად ისწავლება შემდეგი საგნები: მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია და ისტორია.

გარდა აღნიშნულისა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს:

მოსწავლეები, რომელთაც საზღვარგარეთ სურთ სწავლის გაგრძელება და ინგლისურ ენაში აქვთ შესაბამისი ცოდნის დონე, **X, XI და XII კლასში მოემზადებიან საერთაშორისო ტესტებისათვის: SAT, TOEFL, IELTS.**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს College Counseling - ის კურსს. College Counseling -ის კურსი მოიცავს დახმარებას: ევროპასა და ამერიკაში უნივერსიტეტის შერჩევაში; დაფინანსების მოპოვებაში;

სასურველ უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარებაში; შესაბამისი განაცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება-გადაგზავნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

"აზროვნების ლაბორატორია" – კურსი ლოგიკისა და კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად და ზოგადი უნარების გამოცდისათვის მოსამზადებლად; დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება XII კლასში.

მსოფლიო ლიტერატურა - მსოფლიო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვითი კურსის მიზანია შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსის" მოსწავლეებს გააცნოს ლიტერატურის ისტორიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედების ცალკეული ნიმუშები, რათა, ერთი მხრივ, გააღვივოს ინტერესი ხელოვნების ამ დარგის მიმართ, მეორე მხრივ კი, განავითაროს ლიტერატურის აღქმისა და გააზრების კულტურა და შესაბამისი გემოვნება. დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება VII - X კლასებში.

ცხოვრებისეული უნარები - კურსის გავლა ხელს უწყობს მოსწავლეებში: კომუნიკაციის, ჯგუფებში მუშაობის, გადაწყვეტილებების მიღებისა და გარისკვის უნარების ჩამოყალიბებას; კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას; ინტელექტის, ზნეობისა და კულტურის დონის ასამაღლებლად დამოუკიდებლად მუშაობის უნარების გამომუშავებას. დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება VII - X კლასებში.

Algebra - დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება IX-X კლასში. კურსის მიზანია მოსწავლეებს საფუძველი მისცეს ინგლისურენოვანი საერთაშორისო ტესტების მათემატიკური ნაწილის წარმატებით ჩასაბარებლად.

კომპიუტერული მეცნიერებები - კურსი ისწავლება VII–VIII-IX კლასებში. კურსის საგანმანათლებლო მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე სწავლება და მათი საგაკვეთილო პროცესში აქტიური გამოყენება.

Practical English (ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება) - დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება VII - VIII კლასებში. კურსის საგანმანათლებლო მიზანია აღჭურვოს მოსწავლე საბაზისო ცოდნით, ჩამოუყალიბოს სწორი გამოთქმა, გაუმდიდროს/განუმტკიცოს ლექსიკური მარაგი, რაც მას ხელს შეუწყობს გაიკვალოს გზა თანამედროვე ცხოვრებაში. კურსი მოსწავლეს განუვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს უცხოურ ენაზე ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში.

English and History - დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება IX კლასში. ინგლისური ენისა და ისტორიის ინტეგრირებული კურსის საგანმანათლებლო მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს ლინგვისტური უნარები შინაარსზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებით. კურსის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ხორციელდება ცნობილი ისტორიული ფაქტებისა და წყაროების ინგლისურ ენაზე მოძიება, შესწავლა და ანალიზი. მზადდება ისტორიული პროექტები და პრეზენტაციები ინგლისურ ენაზე.

Fun Science („სახალისო მეცნიერებები") - დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება VII-VIII კლასებში. საგნის მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს მეცნიერებისადმი ინტერესი და მიაჩვიოს ისინი ინგლისურად კომუნიკაციას. შესაბამისად, საგანი წარიმართება ინგლისურ ენაზე და მოიცავს მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო ვიზუალური მასალის ჩვენებას, ასევე ამ მოვლენების მათთვის გასაგებად ახსნას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში დაკვირვების უნარის, ჯანსაღი ლოგიკური დასკვნების გამოტანისა და ინფორმაციის ძიების უნარის განვითარებას.

წერის სახელოსნო - დამატებითი სავალდებულო საგანი ისწავლება VII-VIII კლასებში. წერის სახელოსნოს მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს შემოქმედებითი უნარები; მოზარდმა შეძლოს სათქმელის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემა, არგუმენტირებული მსჯელობა, შეარჩიოს წერილობითი ტექსტის შესაბამისი სტილი და დაიცვას ენობრივი ნორმები.

ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია საათობრივი ბადის გადატვირთვა კერძოდ: 7კლასში-40 სთ; 8კლასში-43სთ; 9კლასში-43სთ; 10 კლასში-41 სთ; 11კლასში-45სთ ; 12კლასში-27 სთ. სპორტი მე-7 და მე-8 კლასებში ისწავლება 2 საათი, ხოლო მე-10,11 და მე-12 კლასებში თითო საათი. (ცვლილებაა 25%-ის ფარგლებში). სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვთ ჭადრაკი ,კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. საათობრივი ბადის განტვირთვის მიზნით საერთაშორისო აკადემია ლოგოსში სწავლება ექვსდღიანია.

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის საზოგადოებისთვის გაცნობის წესი. კერძოდ დამრიგებლის ვადებულებაა მოსწავლეს და მშობელს გააცნოს უფლება-მოვალეობები და სასკოლო სასწავლო გეგმა.

დასტურდება:

- საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2017-2018 სასკოლო სასწავლო გეგმით;
- საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2018-2019 სასწავლო გეგმის პროექტით;
- საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და ზრუნვს მოსწავლის განვითარებაზე. მოსწავლეთა შეფასება ხდება შეფასების რუბრიკების შესაბამისად. ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავდება SWOT ანალიზის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ ეყდნობა კათედრის გამგეების, დამრიგებლების და ხარისხის მართვის სამსახურის ანალიზს.

შემაჯამებელი დავალებების შეფასების შედეგებს ასახავენ სპეციალურ ფორმებში, სადაც მითითებულია შედეგები,შეფასების მეთოდები ,დავალების ტიპი. მოსწავლეების შედეგების გაანალიზება, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. უნდა აღინიშნოს რომ ყველა კათედრაზე არის შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება.

- შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსში“ აკადემიური ორიენტაცია აღებულია თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად.
- სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია აკადემიური პროექტების მომზადება და საჯარო პრეზენტაცია.

მოსწავლეთა მიღება ხდება გამოცდებისა და გასაუბრების საფუძველზე. თუ მოსწავლე ვერ დააკმაყოფილებს აკადემიურ მოთხოვნებს, სკოლაში არ მიიღება. მოსწავლეთა შედარებით მცირე კონტინგენტი და მიღებულ მოსწავლეთა მაღალი აკადემიურობა პედაგოგებს, საგნობრივი პროგრამის დაძლევის თვალსაზრისით, დასახული მიზნის სრულად განხორციელების საშუალებას აძლევს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სასკოლო-სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ მიდგომაზე. სკოლა ცოდნასთან ერთად ცდილობს მოსწავლეს გამოუმუშაოს ის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად, ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, ყურადღებას აქცევს ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. ამ მიზანს ემსახურება საგანი „ცხოვრებისეული უნარები", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გამოიმუშავებენ ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნების წარმატებით გადაჭრის უნარებს.

სკოლაში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები: პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირებული სწავლება, დისკუსია, კონსულტირება, ლექცია, სწავლების ჯგუფური მეთოდი, პრეზენტაცია, გონებრივი იერიში და სხვა. სწავლების მეთოდების დახვეწა და ურთიერთგაზიარება მუდმივად ხდება პედაგოგთა სემინარების და სამუშაო შეხვედრების დროს.

სკოლა თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს მიიღოს მაღალხარისხიანი სრული ზოგადი განათლება. აგრეთვე სთავაზობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღებასა და დახმარებას მომავალში სწორი არჩევნის გაკეთებაში.

დასტურდება:

- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზის ფორმებით;
- საგნობრივი კათედრების ანგარიშებით;
- სკოლის SWOT ანალიზით;
- დამრიგებელთა პორტფოლიოებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლაში ყველა მოსწავლე თანაბარუფლებიანია. სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. თუმცა, ინკლუზიური განათლების საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, სკოლა გამოთქვავს მზადყოფნას უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლამ შეიმუშავა პროგრამა, რომელშიც ჩართული იქნებიან მასწავლებლები, დამრიგებელი, ექიმი, მშობელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი. სკოლის მეორე სართულზე ადაპტირებულია ტუალეტები, როგორც გოგონებისთვის ისე ბიჭებისთვის. ასევე საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს შეეძლება სკოლის ნებისმიერი სერვისით სარგებლობა.

დასტურდება:

- შპს "საერთაშორისო აკადემია ლოგოსის" 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით;
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლაში არსებული შეფასების სისტემა გამჭირვალეა. დაცულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად გამოყენებულია შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასება ხორციელდება ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემით.

ფასდება მოსწავლის განვითარების არა მხოლოდ შუალედური ან საბოლოო შედეგები, არამედ ამ განვითარების დინამიკაც. კონტროლდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხი.

- შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია როგორც პედაგოგთათვის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისათვის;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები: დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, წერითი შემაჯამებელი სამუშაოს და სხვ.
- შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება ადმინისტარაციისა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე (შეხვედრები იმართება ყოველ დღე, დიდ დასვენებაზე);
- სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ხელმისწვდომია, როგორც მშობლებისათვის, ასევე მოსწავლეთათვის;

<u>სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლი გეგმების დეპარტამენტის უფროსის მოადგილი ეკატერინე ლეჟავას წერილი N1278375 18/10/2017წ. საფუძველზე შეტანილი აქვს ცვლილება მოსწავლეთა შეფასების სქემაში. კერძოდ:მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით (გარდა 12 კლასის მეორე სემესტრისა და მე-11 კლასის ქიმიის,ფიზიკის,გეოგრაფიის და ბიოლოგიის საგნებისა) ყველა სავალდებულო საგანში,რომელთა შეფასება ხდება განმსაზღვრელი შეფასებით ჩატარდეს ფინალური გამოცდა ყოველი სემესტრის ბოლოს. აღნიშნულ გამოცდაზე მიღებულ შეფასებას სემესტრული ნიშნის გამოანგარიშებისას აქვს 30%.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით;
- სკოლის საგნობრივი კათედრის პორტფოლიოებით.
- საგნობრივი სასწავლო პროგრამებით.
- შეფასების კრიტერიუმებით;
- ინტერვიურებით;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზით.
- **დანართი 1.** 1 (ერთ) ფურცლად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 ოქტომბრის NMES01701278375 ნებართვა.)

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლა უზრუნველყოფს მშობლის ჩართვას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. მყარდება ორმხრივი კომუნიკაცია სკოლასა და ოჯახს შორის. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს მასწავლებლებთან, დირექტორთან და ადმინისტრაციასთან. შედეგად, იმსხვრევა ბარიერი მშობელს, სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს შორის. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებებს სწავლის ყველა ეტაპზე.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება. ამ დებულების თანახმად, მშობლებს შესაძლებლობა აქვთ სისტემატიურად გაეცნონ შვილების აკადემიურ მოსწრებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ელექტრონული ჟურნალის, მშობელთა კრებებისა და ადმინისტრაციის წევრებთან და პედაგოგებთან წინასწარ შეთანხმებული ინდივიდუალური შევხედრების მეშვეობით.

სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ კრებაზე მშობლები ეცნობიან პედაგოგებს, კლასის დამრიგებლებს, შინაგანაწესს, სკოლაში არსებულ მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, იღებენ ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. პირველ კრებაზევე მშობლები ეცნობიან ელექტრონული ჟურნალის მუშაობის სპეციფიკას და გადაეცემათ ჟურნალის სარგებლობისათვის აუცილებელი კოდი.

გარდა ამისა, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს შემუშავებული აქვს მშობელთა კმაყოფილების განმსაზღვრელი კითხვარი, რომლის საშუალებითაც ელექტრონული კვლევა ჩატარდება 2017-2018 სასწავლო წლის ბოლოს. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი მშობლებთან უწყვეტი და ეფექტური კომუნიკაციისთვის იყენებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების ცირკულარული დაგზავნის პროგრამას და სოციალურ ქსელს.

დასტურდება:

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ (ჩართულობის) დებულებით;
- სადამრიგებლო დებულებით;
- სადამრიგებლო პროგრამით
- მშობელთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სკოლაში შემუშავებულია სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემა - მოსწავლეთა გამოკითხვა, გაკვეთილებზე დასწრება, საგაკვეთილო პროცესისა და პედაგოგის შეფასება-ანალიზი. განხორციელებული მონიტორინგის შედეგები მუშავდება ელექტრონული წესით (Excel-ის ფაილში პროცენტების, თვალსაჩინო გრაფიკებისა და ცხრილების სახით). კვლევის შედეგად გამოიკვეთება სასკოლო გარემოს, სასწავლო პროცესის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთადმოკიდებულების როგორც დადებითი, ასევე გასაუმჯობესებლი მხარეები. შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე, ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებელთა გაკვეთილებზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგები კონფინდენციალურია და განიხილება ინდივიდუალურად, ცალკეულ პედაგოგთან. ყოველივე ეს იძლევა სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილება კათედრების რეგულარულ შეხვედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

დასტურდება:

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით;
- სასკოლო სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებით;
- მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ;
- მასწავლებლის შეფასების ფორმებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს დროებით სარგებლობაში აქვს ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზ. N34/ალ. ყაზბეგის გამზ.N2 მდებარე შენობის 1387,2 კვ.მ. ფართი და 312.2 კვ. მ სპორტული მოედანი.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. 34/ალ. ყაზბეგის გამზ. N2	შენობა - 1387,2 კვ.მ. სპორტული მოედანი - 312.2 კვ. მ

სკოლას 2018 წლის 24 აპრილს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ბიზნეს ცენტრ საბურთალოსთან" დამატებით 702 კვ.მ ფართის 6 წლის ვადით, დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 01 აგვისტოდან, რის საფუძველზეც სკოლის საერთო ფართი იქნება ჯამში 2401.4 კვ.მ . საიდანაც შენობა - ნაგებობების ფართია 2089.2 კვ.მ , ხოლო სპორტული მოედანი - 312.2 კვ. მ.

აღნიშნული ფართი დღევანდელი მდგომარეობით ფიქსირდება რეესტრის მონაცემებში. <u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეესტრის მონაცემში რამდენიმე ადგილას არის მექანიკური შეცდომა მოიჯარის მაგივრად საერთაშორისო აკადემის ლოგოსი დაფიქსირებულია იპოთეკარად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- **დანართი 2.** 21 (ოცდაერთი) ფურცლად. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 01.10.14.013.010);
- იჯარის ხელშეკრულებებით;
- ადგილზე დათვალიერებით.
- **დანართი 5.** 2 (ორი) ფურცლად (სკოლის აზომვითი ნახაზი)

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:
სკოლაში 16 საკლასო ოთახია. დამატებით 1 კომპიუტერული ლაბორატორია, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,1 ხელოვნების კლას-კაბინეტი , 1 სარეზერვო კლასი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და შესაბამისი რაოდენობის სკამებით, რომლებიც მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისად არის შერჩეული. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია სასკოლო დაფებით ,საგანმანათლებლო რესურსით, რაც მოიცავს სხვადასხვა საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თვალსაჩინოებას, პლაკატებს, რუკებს, ცხრილებს და სხვას. სკოლაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. ამისათვის სკოლას ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებული აქვს პროექტორები შესაბამისი საპრეზენტაციო ეკრანებით. სულ ჯამში სკოლაში განთავსებულია 295 მერხი, 465 სკამი და 35 დაფა, სკოლას გაფორმებული აქვს 90 მოსწავლის მერხის შეძენასთან დაკავშირებით შეთანხმება 01.06.2018 წელს ი/მ „დავით საჯაიასთან“.

დასტურდება:

- სასაქონლო ზედნადებებით;
- საბანკო გადარიცხვებით შესყიდვის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩუქების აქტებით.
- **დანართი 3.** 7 (შვიდ) ფურცლად. შეთანხმება მერხების დამზადების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას აქვს 312,2 კვ.მ ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი. სპორტული აქტივობებისთვის სკოლას აქვს 2 ჩოგბურთის მაგიდა, ხელბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის სადემონსტრაციო დაფა (ფიგურებით), სათამაშო ჭადრაკის კომპლექტები და სხვა სპორტული ინვენტარი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საბანკო გადარიცხვებით შესყიდვის შესახებ;

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლას შეძენილი აქვს სასკოლო ლაბორატორია, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია საბუნებისმეტყველო კაბინეტი სველი წერტილითა და საცავით, სადაც ტარდება ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გაკვეთილები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ნასყიდობის ხელშეკრულებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლაში ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სართულზე კეთილმოწყობილია სველი წერტილები, რომელთა საერთო რაოდენობა 10-ს შეადგენს. უზრუნველყოფილია ელექტროენერგიისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სკოლა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობის საგარანტიოდ იქონიოს ელექტროგენერატორი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1141 წიგნი, რომელიც მოიცავს, როგორც მხატვრულ და სამეცნიერო, ასევე გრიფირებულ (72 ეგზემპლიარი) სახელმძღვანელოებს. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები განლაგებულია კლასების მიხედვით, ხოლო დანარჩენი წიგნები განლაგებულია თემატურად. ბიბლიოთეკაში არის თემატური საძიებო კატალოგი და წიგნები შეყვნაილია საინვენტარო წიგნში. წიგნების გაცემა აისახება მოსწავლის და მასწავლებლის ფორმულარებში.
ბიბლიოთეკას აქვს დებულება . თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკი.
ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს I-VI კლასის სახელმძღვანელობის გრიფირების პროცესი, სკოლა გეგმავს აღნიშნული სახელმძღავნელოები შეიძინოს 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის.

სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ელვა.ჯი"-სთან პერიოდული გამოცემის „ახალ განათლებისა" და „ისტორიანის" ყოველკვირეულად მიწოდებასთან დაკავშირებით.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- წიგნადი ფონდის აღრიცხვის დოკუმენტებით;
- წიგნების შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ჩუქების აქტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:
სკოლის შესასვლელში, პირველ, მეორე და მესამე სართულების კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, რომლებიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებს სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობით. ამავდროულად სკოლაში სართულებზე გადასაადგილებლად მოწყობილია ლიფტი. მეორე სართულზე ადაპტირებულია 2 სველი წერტილი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით .

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:
სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, 35 კომპიუტერი და 7 ლეპტოპი; 16 პროექტორი; 16 პროექტორის ეკრანი; 3 ცალი პრინტერი; 6 ცალი კომბაინი (ქსეროქსი-სკანერი-პრინტერი); 1 ცალი სკანერი; 14 ცალი პლანშეტური კომპიუტერი. ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტ ქსელით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება nic.ge დომენული სახელის რეგისტრაციის და „youlook" ვებ ჰოსტინგ სერვისის უზრუნველყოფის შესახებ. სკოლას ემსახურება ინტერნეტპროვაიდერი კომპანია შპს „მაგთიკომი".

სკოლის ვებ გვერდი www.logos.edu.ge, Facebook-ის სოციალური გვერდი სახელწოდებით „საერთაშორისო აკადემია ლოგოსი", და ელექტრონული ფოსტა info@logos.edu.ge, ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. განთავსებულია სიახლეები, სკოლის მისია, სასწავლო პროგრამები, თვითმმართველობის აქტივობები, ფოტოგალერეა და სკოლის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- სასაქონლო ზედნადებებით კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის შესახებ;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით ინტერნეტის მიწოდების შესახებ;
- გაფორმებული ხელშეკრულებით ჰოსტინგის სერვისის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩუქების აქტებით;
- ვებ-გვერდით www.logos.edu.ge
- დათვალიერებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

სკოლაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი, ჯამში 12, რაც დასტურდება დოკუმენტაციითაც. ცეცხლმაქრებს ყოველწლიურად უტარდებათ ტექნიკური შემოწმება და გადატუმბვა.

სკოლაში ექიმის ფუნქციას ითავსებს დირექტორის მოადგილე, რომელიც პროფესიით პედიატრია, მომდევნო სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია ექიმის კაბინეტის მოწყობა და გაფორმებულია ხელშეკრულება სრული შტატის მქონე ექიმთან. ასევე სკოლას ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი. სკოლაში შემუშავებულია „საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომლის მიხედვითაც შექმნილია საგანგებო შტაბი და რეაგირების გეგმაში გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას 2016 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან სკოლის შენობის დაცვასთან დაკავშირებით.

სკოლაში განთავსებულია უსაფრთხოების 16 კამერა, აქედან 12 - სკოლის შენობაში, ხოლო 2 სკოლის ეზოში და 2 შემოსასვლელში, შემოსასვლელებში განთავსებული კამერები შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დასტურდება:

- ცეცხლმაქრების შეძენის ანგარიშფაქტურებით;
- ევაკუაციის გეგმით;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ხელშეკრულებებით;
- კამერების შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი, წესდება, სტრუქტურული ერთეულების დებულებები. შინაგანაწესში გაწერილია სამუშაო და დასვენების დრო, თანამშრომლების მიღება/ხელშეკრულების შეწყვეტა/შრომის ანაზღაურების გაცემის წესი/შვებულების წესი/წახალისება დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლის/მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომა/სკოლაში ჩარიცხვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები. სკოლის წესდებაში გაწერილია: სკოლის მიზნები, ფუქნციები და საქმიანობის საგანი, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულები, სკოლის ქონება, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი.
აღნიშნული დოკუმენტები თანხვედრაშია სკოლაში არსებულ სხვა დოკუმენტაციასთან.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი.

დასტურდება:

- წესდებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- დებულებებით;
- ბრძანებებით.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. ერთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს. კერძოდ: სასწავლო პროცესისათვის მომზადება,სასწავლო აღმზრდელობითი და პროფესიული საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზება, სამეურნეო-საკომუნიკაციო საქმიანობა 2017-2018 სასწავლო წლისათვის, რომელიც ასევე ეფუძნება ექვსწლიან გეგმას. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია ხარისხის ინდიკატორები, ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირი და შესრულების ვადები.

დასტურდება:

- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- სკოლის განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით. იწარმოება შემდეგი აღრიცხვის ჟურნალები: შემოსული საბუთების აღრიცხვის ჟურნალი, საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და შემოსული წერილების (განცხადებების) აღრიცხვის ჟურნალი.

დასტურდება:

- შემოსული საბუთების აღრიცხვის ჟურნალით;
- საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალით;
- შემოსული წერილების (განცხადებების) აღრიცხვის ჟურნალით;
- სკოლის საქმისწარმოების წესით .

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში სწავლობს 143 მოსწავლე. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება დაწყებით საფეხურზე 12, საბაზო/საშუალო საფეხურზე 15 მოსწავლით) საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვება 53 პედაგოგი. გარდა ამისა სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავს გენერალური დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი, IT მენეჯერი, რეკლამირებისა და სოციალური მედიის მენეჯერი, გრაფიკოს დიზაინერი, ტექნიკური მენეჯერი და სხვ. სულ სკოლაში დასაქმებულია 64 თანამშრომელი.

დასტურდება:

- პირადი საქმეებით;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- 2017-2018 წლების სასკოლო სასწავლო გეგმით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის დოკუმენტით;
- საშტატო განრიგით;
- გაკვეთილების ცხრილით;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მოსწავლეთა და მომსახურე პერსონალის ბაზებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს 6 წამყვანი, 18 უფროსი და 20 პრაქტიკოსი მასწავლებელი. <u>დანარჩენი 9 პედაგოგიდან რომლებიც არ არიან ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში:</u>

სამი დამატებითი სავალდებულო საგნის უცხოელი პედაგოგია.

სამი პედაგოგი (SAT, TOEFl) სასწავლო კურსს უძღვება.

ერთს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და გადის 60 კრედიტიან პროგრამას.

<u>ორი პედაგოგის (ისტორიისა და მუსიკის) სტატუსი შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან.</u>

დასტურდება:

- პირადი საქმეებით;
- **დანართი 4.** 2 (ორი) ფურცლად. მართვის საინფორმაციო სისტემის მასწავლებელთა ბაზა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. სკოლაში მასწავლებელების მიღება ხდება კონკურსის გზით. მასწავლებელთა შერჩევის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითა და მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესით. განცხადებების გავრცელება სკოლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება სხვადასხვა საშუალებით (სკოლის ვებ-გვერდი, ვებ-გვერდები სამსახურის მაძიებელთათვის (pedagogi.ge).
დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი, რომელიც ფორმდება ბრძანებით; დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

რაც შეეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სკოლის შინაგანაწესით დეტალურადაა განსაზღვრული დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებისა და პასუხისმგებლობის სახეები.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- ხარისხის პოლიტიკის სახელმძღვანელოთი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის დირექტორს სკოლის ყველა პედაგოგთან და ტექპერსონალთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხსიმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. აღნიშნული ხელშეკრულებები არის უვადო და ყოველ წელს დამატებით ფორმდება შეთანხმებები მხარეებს შორის.

დასტურდება:

- მასწავებლებთან გაფორმებული ხელშეკრულობებით;
- მასწავლებელთა პირადი საქმით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

2016 წლის სექტემბრიდან სკოლა ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას, კერძოდ ფასილიტატორების და შეფასების ჯგუფების შერჩევა და დამტკიცება, ტრენინგებში და მოსამზადებელ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, რაც დასტურდება ოქმებით, ბრძანებებით და ფოტო მასალით.
სკოლაში მუშაობს ხარისხის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროებებიდან გამომდინარე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას. ხარისხის მენეჯერი ესწრება გაკვეთილებს, ატარებს შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, ინდივიდუალურად ხვდება მასწავლებლებს, უწევს კონსულტაციებს გაკვეთილების ჩატარების, საგაკვეთილო პროცესის, სემესტრის, წლის დაგეგმვის საკითხებში. ასევე ხარისხის მართვის მენეჯერი მოიძინებს ინფორმაციას ტრენინგების, საგანმანათლებლო რესურსების და შესაძლებლობების შესახებ და საქმის კურსში აყენებს სკოლის დირექციას ამასთან დაკავშირებით. სკოლის დირექცია ღებულობს გადაწყვეტილებას პედაგოგის გადამზადების და მისი დაფინანსება/ნახევარდაფინანსების შესახებ.
გარდა ამისა, სკოლის პედაგოგები არიან სხვადასხვა სახელმძღვანელოების ავტორები, ტრენერ-პედაგოგები. ისინი სკოლაში პერიოდულად ატარებენ მინი-სემინარებს და სამოდელო გაკვეთილებს.

დასტურდება:

- კათედრის დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- კათედრის დოკუმენტაციით;
- მასწავლებელთა კატეგორიზაციის დებულებით;
- ხარისხის მენეჯერის ანგარიშებით;
- ფასილიტატორებისა და შეფასების ჯგუფის შერჩევის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი ფუნქციონირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში დაცულია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც სკოლა მოქმედებს, თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობას უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად ხარისხიანად გამოვლენისას. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, შემუშავებულია ურთიერთდასწრებისა და შესაძლებლობების გამოვლენის აქტივობები.

სკოლაში სამართლიანი ატმოსფეროა. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მონაწილეობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებში ავითარებს საკუთარი ემოციებისა და ქცევის მართვის, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების პატივისცემისა და თანამშრომლობის, კომუნიკაციის, ჯგუფში მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს.

ლოგოსის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას საქართველოს, ევროპისა და ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. რაშიც მათ დიდ დახმარებას უწევს სკოლის კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: College Board, NACAC – National Association for College Admission Counseling, The Common Application, Saint Anne's-Belfield School, American University of Rome, Bard College Berlin.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- სკოლის ვებ-გვერდით:
- სიგელებით, სერთიფიკატებით, სკოლის სასწავლო გეგმით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- Facebook- ის გვერდით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. -1 (ერთი) ფურცლად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 ოქტომბრის NMES01701278375 ნებართვა.)

დანართი 2. -21 (ოცდაერთი) ფურცლად (ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 01.10.14.013.010);

დანართი 3. -7 (შვიდი) ფურცლად (შეთანხმება მერხების დამზადების შესახებ)

დანართი 4. -2 (ორი) ფურცლად (მართვის საინფორმაციო სისტემის მასწავლებელთა ბაზა)

დანართი 5. -2 (ორი) ფურცლად (სკოლის აზომვითი ნახაზი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.